საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/130

09 ---- ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სოფიო ბაკურიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 და მე-14 მუხლების, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი №21-20/08, 03.06.2022), ,,ERASMUS+ საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე-3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" პერსონალის (მერაბ ხალვაში და ირაკლი კორძაია) ფინეთში, ტურკუს უნივერსიტეტში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 31 მაისის N01-06/90 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 მარტის N01-02/46 ბრძანების (დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შეცვლის შესახებ), ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 სექტემბრის N01-08/541 ბრძანების (სწავლების მე-5 სემესტრიდან დაბრუნება სასწავლო პროცესში) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, რეზო მანველიძის 2022 წლის 7 ივნისის №606788 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **სოფიო ბაკურიძის** სადისერტაციო ნაშრომის „რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ატიპური ეკონომიკური კრიზისის პირობებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)“ **საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 1 ივლისს 12 საათზე, №430 აუდიტორიაში** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. **ვლადიმერ ღლონტი** (კომისიის თავმჯდომარე) - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;

2.2. **ლეილა ცეცხლაძე** (კომისიის მდივანი) - ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი;

2.3. **ნათელა წიკლაშვილი** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.4. **ასიე ცინცაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.5. **ბადრი გეჩბაია** – ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.6. **ბესიკ ბაუჩაძე** - ეკონომიკის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. **პაატა არაშიძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.8. **გულიკო ქათამაძე** - ბიზნესის მართვის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. **ნატალია რობიტაშვილი** - ბიზნესის მართვის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.10. **ნანული მახარაძე** – ბიზნესის მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.11. **ირაკლი კორძაია** - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასისტენტ-პროფესორი ლ. ცეცხლაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორის მოადგილე, პროფესორი ანზორ ბერიძე